

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოში
სოციალური რეკლამის განთავსების რეგულაციები

შინაარსი

- სოციალური რეკლამა საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისკენ, საქველმოქმედო მიზნების მიღწევისკენ, მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ ან/და საზოგადოების ქცევის პოზიტიური თვალსაზრისით შეცვლის ხელშეწყობისკენ მიმართული რეკლამაა, რომელიც არ არის არც კომერციული და არც წინასაარჩევნო რეკლამა და არ შეიცავს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას.
- სოციალურ რეკლამაში არ უნდა იყოს მოხსენიებული კომერციული ორგანიზაციები და ინდივიდუალური მეწარმეები, მათი საქონლის კონკრეტული მარკები (მოდელები, არტიკულები), აგრეთვე იმ საქონლის კონკრეტული მარკები (მოდელები, არტიკულები), რომელიც წარმოადგენს არაკომერციული ორგანიზაციების დამხმარე სამეწარმეო საქმიანობის შედეგს.
- ფიზიკური და იურიდიული პირების სოციალური რეკლამის წარმოებისა და გავრცელებისათვის უსასყიდლო საქმიანობა, აგრეთვე ამ პირთა მიერ საკუთარი ქონების, მათ შორის, ფულადი სახსრების, სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ამ მიზნით გადაცემა ითვლება საქველმოქმედო საქმიანობად, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია შეღავათები.

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი.
„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი

წარმოდგენის
წესი

ოფიციალური წერილი და ვიდეო/აუდიო რგოლი

- ოფიციალური წერილი უნდა მომზადდეს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის სახელზე.
- აუდიო/ვიდეორგოლი წარმოდგენილი შეიძლება იყოს ნებისმიერ ელექტრონული საშუალებით ან მოწოდებული იყოს მაუწყებლისთვის მისაღები სხვა ელექტრონული ფორმით
- აუდიო/ვიდეორგოლი სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს კანცელარიაში წარმოდგენილი უნდა იყოს სარეკლამო კამპანიის დაწყებამდე მინიმუმ 7 დღით ადრე მაინც.
- სოციალური რეკლამის ვიდეო ან/და აუდიო ფორმატის არ არსებობის შემთხვევაში, ტიტრებით გასაშვები რეკლამის ტექსტს ადგენს მაუწყებლის პასუხისმგებელი პირი.
- ოფიციალური წერილი ხელმოწერილი უნდა იყოს რეკლამის წარმომდგენი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის მიერ და მაუწყებლისთვის მოწოდებული იყოს ფიზიკური ან ელექტრონული ფორმით.

ვიდეო
ფორმატი

- mp4 25fps (H264 მაღალი ხარისხის კომპრესიით, "HighBitRate"რეჟიმი, მინიმუმ 30 mbps.)
- Quicktime mov 25fps (H264 მაღალი ხარისხის კომპრესიით ან Photo JPG -100% quality)

აუდიო ფორმატი

48.000 kHz Stereo

ქრონომეტრაჟი

რგოლი უნდა იყოს არაუმეტეს 60 წამისა.

გაცნობებთ, რომ ჩვენი მიზანია, ტელე და რადიო ეთერი დავუთმოთ საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობ მნიშვნელოვან ინფორმაციას. სოციალური რეკლამის სიმრავლის და საეთერო ბადის გათვალისწინებით შეუძლებელია უფრო დიდი ქრონომეტრაჟის მქონე ვიდეორგოლის განთავსება.

სავალდებულო მახასიათებლები

- ვიდეორგოლი უნდა იყოს გადაღებული და დამონტაჟებული პროფესიული ვიდეო-აუდიო ტექნიკით;
- სარეკლამო რგოლი უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე სატელევიზიო/რადიო მოთხოვნებს: კადრირების რიტმს, ტექსტის ლაკონურობას, მოქნილობას, ვიდეოგამოსახულების ხარისხს, რგოლისთვისთვის მისადაგებულ მუსიკალურ რიტმს;
- ვიდეო რგოლის გამოსახულება არ უნდა იყოს ბუნდოვანი, ტექნიკური წუნის შემცველი, დაცული უნდა იყოს ხმის ბალანსი;
- ვიდეო რგოლში და შეტყობინებაში უნდა იყოს დაცული ქართული სალიტერატურული ენისთვის დამახასიათებელი ნორმები და სტანდარტები. დაუშვებელია სლენგის, ბარბარიზმების და სხვა ამგვარი სალაპარაკო ენისთვის დამახასიათებელი ნორმების გამოყენება;
- სარეკლამო რგოლი უნდა აკმაყოფილებდეს საეთერო მეტყველებისთვის დამახასიათებელ სტანდარტებს.
- რგოლის შინაარსი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობას;
- რგოლის შინაარსი უნდა ეთანხმებოდეს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს პრიორიტეტებს და „საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსს“.
- რგოლი არ უნდა შეიცავდეს სახელმწიფო და კომერციული ორგანიზაციების სიმბოლოვას, ლოგოტივს, სავაჭრო ნიშნებს ან სხვა განმასხვავებელ ნიშნებს.

განთავსების ხანგრძლივობა

არაუმეტეს 15 დღისა.

- სოციალური რეკლამის განთავსების მსურველთა სიმრავლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის საეთერო სტრატეგიიდან (საკუთარი პროდუქტის ანონსირება) გამომდინარე, ერთი ვიდეო/აუდიო-რგოლის განთავსების მაქსიმალური ვადაა 15 კალენდარული დღე.
- განთავსების ვადის მომდევნო 15 დღით გაგრძელებისათვის უნდა არსებობდეს ობიექტური გარემოებები და წარმოდგენილი უნდა იყოს დამატებითი წერილობითი დასაბუთება

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი განთავსების წესი

- ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეისყიდოს მაუწყებლის მომსახურება სოციალური რეკლამის განთავსებისთვის მინიმალური ზღვრის მიღმა სოციალური რეკლამის განთავსების ან/და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით „შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
- მინიმალურ ზღვარს მიღმა მიიჩნევა რეკლამა, რომლის ხანგრძლივობა აღემატება 60 წამს მაგრამ არაუმეტეს 90 წამისა.
- მაუწყებლის მიერ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციად მიიჩნევა ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც განკუთვნილია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ, კულტურულ, სპორტულ და მოქალაქეებისთვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას.
- მაუწყებლის მიერ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან/და მინიმალური ზღვრის მიღმა სოციალური რეკლამის ეთერში განთავსების ტარიფია: 1 დღე (მინიმუმ 5 გაშვება) - 100 ლარი დღე-ს ჩათვლით.
- თუ ადმინისტრაციული ორგანო და მაუწყებელი ვერ თანხმდებიან იმაზე, არის თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მაუწყებლისთვის მიწოდებული მასალა სოციალური რეკლამა ან/და შეიცავს თუ არა იგი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, დავას წყვეტს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ერთ-ერთი მხარის მიერ მისთვის შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

ჩვენი შიდა
პროცედურები

დამკვეთის მიერ ოფიციალური განცხადებისა და რგოლის წარმოდგენის შემდეგ, კანცელარია მასალებს წარადგენს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორთან. დირექტორი მასალების ვიზირებას ახდენს ამ მიზნით შექმნილ კომისიასთან. კომისია განიხილავს წარმოდგენილ მასალებს და იმსჯელებს რეკლამისთვის სოციალური სტატუსის მინიჭების თაობაზე.

დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში კომისია რეკომენდაციით მიმართავს დირექტორს რეკლამისთვის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

დირექტორი რეკლამას ბრძანებით ანიჭებს სოციალურ სტატუსს და ავალებს პასუხისმგებელ პირს რეკლამის ბადეში განთავსებას.

უარყოფითი პასუხის შემთხვევაში რეკლამის დამკვეთს ეცნობება დასაბუთებული უარის შესახებ. რომელიც ფორმდება წერილობით და ეგზავნება დამკვეთს.

მაუწყებლის უარყოფითი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.

დამატებითი
ინფორმაცია

სოციალური რეკლამის განთავსების საკითხებზე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ:

საკონტაქტო პირი: ზურა ჯიჯავაძე
ტელეფონი: 591 98 05 10
Email: reklama@ajaratv.ge ajaratv@ajaratv.ge

ჩვენთვის მისასალმებელია, რომ თქვენთან ერთად გვაქვს შესაძლებლობა კიდევ უფრო ქმედითი ნაბიჯები გადავდგათ საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობის, საქველმოქმედო მიზნების მიღწევის, მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ან/და საზოგადოების ქცევის პოზიტიური თვალსაზრისით შეცვლის ხელშეწყობისკენ.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო მადლობას გიხდით თქვენი აქტივობისათვის.